ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე შარაშენიძე

მუჰამედ ალის გამგებლობა სირია-პალესტინაში
(1831-1841წწ.)

სპეციალობა 07.00.03 _ მსოფლიო ისტორიის

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მერაბ ტიკაძე**

თბილისი

2006

კვლევის საგანი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს შეადგენს XIXს. 30-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში წარმოქმნილი ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გამოიწვია ეგვიპტის ფაშას მუჰამედ ალის მცდელობამ სირია-ეგვიპტის გაერთიანებით შეექმნა ძლიერი, დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო. ოსმალეთ-ეგვიპტის ორი (1831-1833წწ. და 1839-1841წწ.) კონფლიქტის და საოკუპაციო რეჟიმის მიერ სირიაში გატარებული რეფორმების გარდა მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა როლს კრიზისის დაძლევაში.

თემის აქტუალობა: სადისერტაციო თემა ეხება არაბული ქვეყნების ახალი ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. თემის აქტუალობას განსაზღვრავს მისი მჭიდრო კავშირი საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებთან, რომელთა გამოძახილს უფრო გვიანდელი სირია-ეგვიპტის ურთიერთობაშიც ვხედავთ. სირიის საკითხი XIX ს. 30-იან წლებში გასცდა ოსმალეთის იმპერიის შიდა რეგიონალური პრობლემის საზღვრებს და საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ობიექტად იქცა.

არაბთა გაერთიანების იდეა დღესაც აქტუალურია. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVIII ს.-ის 70-იან წლებში სირია-ეგვიპტის გაერთიანების ცდა ეგვიპტელი მამლუქების ცნობილი ბელადის ალი ბეგ ალ-ქაბირის მეთაურობით წარუმატებლად დასრულდა. ორი არაბული ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მუჰამედ ალის მეთაურობით ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია სირიის ისტორიის იმ მონაკვეთის შესწავლა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მუჰამედ ალის პოლიტიკასთან და რეფორმებთან, მათი გავლენა სირია-პალესტინის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, აგრეთვე, ევროპის სახელმწიფოების როლისა და პოზიციის გარკვევა ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტის დარეგულირებაში.

მეცნიერული სიახლე: XIX ს. 30-იან წლებში ორი არაბული ქვეყნის _ სირიისა და ეგვიპტის ძალით გაერთიანების ცდას, რაც მუჰამედ ალის სახელთანაა დაკავშირებული, მოჰყვა არსებითი ხასიათის გარდაქმნები სირიაში, კონფლიქტი ოსმალეთთან, რომელმაც საერთაშორისო რეზონანსი მიიღო. ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე არ ყოფილა სპეციალურად შესწავლილი და შეფასებული აღნიშნული კონფლიქტის არსი, სირიაში ჩატარებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: მონოგრაფია მოიცავს XIXს-ის 30-იან წლებს, როცა სირიის კუთვნილების საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის ფოკუსში მოექცა და მთავრდება 1841 წლის ლონდონის II კონვენციით, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა არა მარტო სირიის, არამედ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხიც.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ორი წამყვანი არაბული ქვეყნის ეგვიპტისა და სირიის ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში. ნაშრომის გამოყენება შეიძლება სალექციო და სასემინარო მუშაობისას, სპეცკურსის მომზადებისას.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე. ნაშრომის საბოლოო განხილვა მოხდა ამავე კათედრის თანამშრომელთა ერთობლივ სხდომაზე (2006 წლის 14 აპრილი, ოქმი №10). ნაშრომის ცალკეული

თავები თითქმის მთლიანადაა გამოქვეყნებული სტატიების სახით სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

დისერტაციის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვის, ხუთი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და სიახლე, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, განხილულია წყაროები და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა.

სადისერტაციო თემის შესახებ ცნობები დაცულია კონფლიქტის თანამედროვე ავტორთა შრომებში, რომელთა დიდი ნაწილი დიამეტრალურად განსხვავებულ შეფასებას აძლევს მუჰამედ ალის მმართველობას სირიაში და მის მიერ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნის მცდელობას. მუჰამედ ალის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და მის მიერ ეგვიპტის ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის გატარებული ღონისძიებები დეტალურადაა აღწერილი XVIIIს.-ის მიწურულისა და XIX ს. დამდეგის ცნობილი არაბი მეცნიერის ალ-ჯაბართის «ეგვიპტის ქრონიკა»-ში, რომელშიც ავტორი, მიუხედავად მუჰამედ ალის მიმართ მტრული დამოკიდებულებისა, დადებით შეფასებას აძლევს მის რეფორმატულ საქმიანობას.

ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტის შესახებ საინტერესო მასალაა დაცული ბეირუთში რუსი კონსულის კ. მ. ბაზილის შრომებში: «Сирия и Палестина” და « Записка о внешней торговле Сирии”. „ თუ ჩემი წიგნი _ წერდა ბაზილი, მოხვდება იმ მასალების რიცხვში, რომელთა შესწავლა სასარგებლოა აღმოსავლეთის საკითხის შესასწავლად, მაშინ ჩემი შრომა არ დაკარგულა.» ბაზილის შრომებს დღემდე უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სირია–ლიბანის ახალი ისტორიის შესწავლისათვის. მუჰამედ ალის, მისი ოჯახის, აგრეთვე იმ პერიოდის ეგვიპტის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის, ეგვიპტელების ადათ -წესებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ საინტერესო მასალებია დაცული კლოტ-ბეის «ეგვიპტის ისტორიაში. « ოსმალეთ-ეგვიპტის I კონფლიქტის სამხედრო და დიპლომატიური პერიპეტიები საინტერესოდ აისახა რუსი ოფიცრების: ნ.ნ. მურავიოვის, ა.ო. დიუგამელის, პ.პ. ლვოვისა და ო.ი. სენკოვსკის ნაშრომებში.

აღნიშნულ თემაზე, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური ნაშრომი არ არსებობს, თუმცა საშუალება გვქონდა გვესარგებლა ქართველი ისტორიკოსი ორიენტალისტების მ. სვანიძის, ალ. მენთეშაშვილის, გ. ჯაფარიძის, მ. ტიკაძის, მ. მეტრეველის შრომებით, რომლებშიც წარმოდგენილია მასალები და მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო პერიოდისა და თემის გარშემო. ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას გამოვიყენეთ რუსი მეცნიერების ა.დ. ნოვიჩევის, ი.მ. სმილიანსკაიას, ნ.ა. დულინას, დ.რ. ჟანტიევის, ე.ი. ზელენევისა და სხვათა ნაშრომები.

უცხოელ ავტორთაგან აღსანიშნავია ი. ჰოფმანის, პ. ვატიკიოტისის, ა. ტიბავის და არაბი ისტორიკოსების _ ფ. ჰითის, ქ. სალიბის, ა. რუსთუმის, ასევე აბდ არ-
რაჰმან არ-რაფი ბექის, აბდ არ-რაჰმან რაფიკის, ლატიფა მუჰამედ სალიმისა და სხვა ცნობილი არაბი ისტორიკოსების არაბულენოვანი შრომები.

თავი I

ოსმალეთ-ეგვიპტის პირველი კონფლიქტი

პირველ თავში აისახა ოსმალეთის სულტანსა და მის ვასალს, ეგვიპტის ფაშას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის პოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური ხასიათის მიზეზები, აგრეთვე სამხედრო დაპირისპირება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში.

ფრანგი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილმა ეგვიპტის არმიამ საბრძოლო გამოცდილება მიიღო არაბეთის ნახევარკუნძულზე, სუდანსა და მორეაში (საბერძნეთში). მაშინ როცა სულტნის არმია, მიუხედავად მაჰმუდ II-ის მიერ გატარებული რეფორმისა, ბრძოლის უუნარო აღმოჩნდა, ეგვიპტის ჯარების მთავარსარდალმა _ იბრაჰიმ ფაშამ შედარებით მცირე დანაკარგებით მოახერხა მთელი სირიის დაპყრობა და მცირე აზიაში შეიჭრა. საფრთხე დაემუქრა ოსმალეთის იმპერიას და სულტნის ხელისუფლებას. ოსმალეთის სულტანმა დახმარების სათხოვნელად ევროპაში გაგზავნა ნამიკ ფაშა, რომელმაც 1832 წლის ნოემბრიდან 1833 წლის მარტამდე მოიარა ვენა, პარიზი, ლონდონი, ბერლინი და პეტერბურგი, მაგრამ უშედეგოდ. საფრანგეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მუჰამედ ალისთან. ეგვიპტის ფაშას მიერ გავლენის სფეროების გაფართოება ნიშნავდა საფრანგეთის გავლენის გაზრდას ხმელთაშუა ზღვის აუზში. პრუსია არ ჩაერია აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო ავსტრია წინააღმდეგი იყო მუჰამედ ალის აღზევებისა. ლონდონში ნამიკ ფაშა კარგად მიიღეს, მაგრამ სამხედრო დახმარება არ აღუთქვეს. ბრიტანეთის კაბინეტს გადასაჭრელი ჰქონდა რამდენიმე საერთაშორისო პრობლემა (საბერძნეთის საზღვრების საკითხი, ბელგიის აჯანყება ნიდერლანდების წინააღმდეგ, რუსეთის შეჭრა პოლონეთში, იტალიისა და პორტუგალიის მოვლენები), რომლებიც მთლიანად მოითხოვდნენ ადმინისტრაციის ყურადღებას. ამასთან ინგლისს საშინაო პრობლემაც აწუხებდა, ვინაიდან 1829 წელს ბრიტანეთმა ეკონომიკური კრიზისი გადაიტანა. ამდენად გასაგებია, რომ კონფლიქტის ამ ეტაპზე ინგლისს არ შეეძლო რეალური დახმარება გაეწია ოსმალეთის იმპერიისთვის. სამაგიეროდ, კონფლიქტში ჩაერთო რუსეთი, რომლის დამოკიდებულებას აღმოსავლეთის საკითხისადმი შემდეგი ფაქტორი განსაზღვრავდა: ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდებოდა ძლიერი არაბული სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკაში წამყვან როლს საფრანგეთი შეასრულებდა. ნიკოლოზ I-ს კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთის იმპერიის სისუსტე იყო რუსეთის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოების საუკეთესო გარანტი. რუსეთის იმპერატორს აფრთხობდა ადრიანოპოლის ზავით მიღწეული პრივილეგიების დაკარგვის, მის ქვეშევრდომ მუსლიმებზე რევოლუციური იდეებისა და მუჰამედ ალის გავლენის გავრცელების შესაძლებლობა. 1832 წ. დეკემბერში სტამბოლსა და ალექსანდრიაში გაიგზავნა გენერალ-ლეიტენანტი მურავიოვი, რომელსაც დაევალა, ნიკოლოზ I-ის სახელით აეძულებინა მუჰამედ ალი შეეჩერებინა ეგვიპტის არმიის

წინსვლა და შეერიგებინა იგი სულტანთან. მურავიოვის ამოცანა იყო ისიც, რომ მაჰმუდ II-ს ოფიციალური თხოვნით მიემართა რუსეთისათვის. 1833 წლის თებერვალში სულტნის თხოვნას სამხედრო დახმარების თაობაზე რუსეთის იმპერატორი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. უკვე 20 თებერვალს რუსეთის სევასტოპოლის ესკადრა ადმირალ მ. პ. ლაზარევის მეთაურობით შევიდა ბოსფორში და სულტნის სასახლის წინ განლაგდა. 8-23 აპრილს მეორე და მესამე ესკადრამ 10-12 ათასიანი დესანტი გადმოსხა უნკიარ-ისკალესისა და სკუტარში. რუსეთის სამხედრო ძალის შესვლამ ბოსფორში შეაშფოთა და გააქტიურა ევროპის სახელმწიფოები. ინგლისმა მოითხოვა, სულტანს დაუყოვნებლივ ეთქვა უარი რუსეთის დახმარებაზე. პალმერსტონი თვლიდა, რომ თუ რუსეთი შევიდოდა კონსტანტინოპოლში, რამდენიმე წლის შემდეგ ის შეძლებდა შესულიყო ინდოეთში. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად იგი თვლიდა ოსმალეთისა და სპარსეთის დაცვას რუსეთისაგან. ინდოეთის დაკარგვით, ინგლისი ჰოლანდიას ან ბელგიას დაემსგავსებოდა. საფრანგეთმა, ინგლისმა, ავსტრიამ წინადადება მისცეს მაჰმუდ II-ს მიეღო მისი ვასალის მოთხოვნები. არც რუსეთი იყო მუჰამედ ალისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების წინააღმდეგი, რადგან თვლიდა, რომ რაც უფრო დასუსტდებოდა ოსმალეთის იმპერია, მით უფრო მეტად დასჭირდებოდა მეფის რუსეთის დახმარება. ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევით დაიდო ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება 1833 წლის 5 მაისს. მაჰმუდ II-ის ფირმანით მუჰამედ ალის გადაეცა ტრიპოლის, საიდას, ჰალების საფაშოები, იერუსალიმისა და ნაბულუსის სანჯაყები, ადანას ოლქი. 24 მაისს ეგვიპტის უკანასკნელმა ბატალიონმა დატოვა ქუთაჰია. 10 ივლისს რუსეთმა გაიყვანა ჯარი ოსმალეთის იმპერიიდან, მაგრამ 1833 წ. 8 ივლისს რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმდა უნკიარ-ისკელესის სამხედრო- სამოკავშირო ხელშეკრულება რვა წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში, « თუ ბრწყინვალე პორტა მოითხოვდა რუსეთისაგან სამხედრო და საზღვაო დახმარებას,» რუსეთის მთავრობა გადასცემდა სულტნის განკარგულებაში თავის შეიარაღებულ ძალებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორი ადვილი იყო ოსმალეთის იმპერიაში მღელვარების ინსპირირება, გასაგებია რომ სურვილის შემთხვევაში რუსეთის შეჭრა კონსტანტინოპოლში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. საიდუმლო მუხლით, სულტანი ვალდებულებას იღებდა ჩაეკეტა დარდანელი ომის დროს სხვა სახელმწიფოთა გემებისათვის, რუსეთის ფლოტისათვის კი ბოსფორი ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა ღია. ამ ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი ევროპის სახელმწიფოთა შორის. ინგლისმა და საფრანგეთმა მოითხოვეს ახსნა – განმარტება როგორც სულტანისგან, ისე მეფის რუსეთისაგან, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. 1833 წ. 5 მაისის ფირმანი იყო ეგვიპტის ფაშას უდიდესი გამარჯვება. მან შეიერთა უზარმაზარი ტერიტორია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და მცირე აზიის სამხრეთში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით მილიონ 156 ათასს შეადგენდა.

თავი II

მუჰამედ ალის რეჟიმი სირია-პალესტინაში და იბრაჰიმ ფაშას რეფორმები

მეორე თავი იყოფა ორ ქვეთავად: ა) ადმინისტრაციული ცვლილებები და მმართველობის სისტემა სირიაში» და ბ) «ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი და ლიბანის საამირო».

პირველ ქვეთავში შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით გაგვერკვია თუ რა ცვლილებები შეიტანა ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმმა სირიის ადმინისტრაციულ მოწყობაში. მთელი რეალური ძალაუფლება თავმოყრილი იყო სერ-ასქერის იბრაჰიმ ფაშას ხელში, რომელსაც ემორჩილებოდნენ სირიაში საოკუპაციო რეჟიმის სხვა წარმომადგენლები: ჰუქუმდარი _ მუჰამედ შერიფ ფაშა, შტაბის უფროსი _ სულაიმან ფაშა და დავთარდარი _ ჰანნა ბაჰრი ბეი. თვით იბრაჰიმ ფაშა კი მამის, მუჰამედ ალის ინსტრუქციებით მოქმედებდა. ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციების დასრულებამდე, იბრაჰიმ ფაშას დაჟინებული მოთხოვნით, მუჰამედ ალიმ დანიშნა სირიის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი _ მუჰამედ შერიფ ფაშა, რაც მოასწავებდა ოკუპირებული რაიონის სამხედრო მართვიდან სამოქალაქოზე გადასვლას.

სირია-პალესტინის სერ-ასქერს _ იბრაჰიმ ფაშას ემორჩილებოდა ეგვიპტის საოკუპაციო არმია და სირიის ქალაქების გარნიზონები. მისი შტაბი ანტიოქიაში იყო. იბრაჰიმ ფაშას უშუალო მოვალეობას შეადგენდა: სამხედრო მოქმედებების წარმოება სულტნის არმიის წინააღმდეგ; აჯანყებების ჩახშობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სირიაში 1834 წლიდან საოკუპაციო რეჟიმის დასასრულამდე; მოსახლეობის განიარაღება და სარეკრუტო გაწვევის ორგანიზება, აგრეთვე, სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა და სირიის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. სამხედრო საკითხებს ის მხოლოდ მუჰამედ ალის უთანხმებდა. იბრაჰიმ ფაშა აკონტროლებდა სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობასაც. სამხედრო საქმისაგან თავისუფალ დროს ის უშუალოდ წყვეტდა მრავალ ადმინისტრაციულ საკითხს, იქნებოდა ეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, სოფლის მეურნეობის აღდგენა, ახალი საბადოებისა და კარიერების გახსნა, ხე-ტყის გატანა ეგვიპტეში, ბედუინთა დასახლება თუ სხვა. იბრაჰიმ ფაშა იყო უმაღლესი მოსამართლე სირიაში. მხოლოდ მას შეეძლო სასიკვდილო განაჩენის დამტკიცება.

იბრაჰიმ ფაშას ჩარევა სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჰუქუმდარის უფლება-მოვალეობებს, მაგრამ ასეთი იყო მუჰამედ ალის ნება-სურვილი. 1837 წ. 29 აპრილს ეგვიპტის ფაშამ წერილობით მიმართა მუჰამედ შერიფ ფაშას, რომელშიც უბრძანებდა სამოქალაქო გუბერნატორს, რომ შეეთანხმებინა მმართველობის საშინაო საკითხები იბრაჰიმ ფაშასთან. მიუხედავად სერ-ასქერზე დამოკიდებული მდგომარეობისა, მუჰამედ შერიფ ფაშას დიდი ძალაუფლება გააჩნდა. ჰუქუმდარი ნიშნავდა ადგილობრივ ხელისუფლებს _ მუდირს, მუთასალიმსა და მუბაშირს. ეგვიპტის საოკუპაციო ადმინისტრაციის დედაქალაქი იყო დამასკო.

მუჰამედ ალისა და იბრაჰიმ ფაშას ნდობით სარგებლობდა შტაბის უფროსი _ სულაიმან ფაშა ალ-ფარანსავი (ფრანგი ოფიცერი, პოლკოვნიკი სევი, რომელმაც ისლამი მიიღო). მან დიდი წვლილი შეიტანა ეგვიპტის არმიის ფრანგულ ყაიდაზე გარდაქმნაში. ის სერ-ასქერის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა. სულაიმან ფაშას მოვალეობა არ იყო მკვეთრად განსაზღვრული, თუმცა როგორც ჩანს, იგი სამხედრო სფეროზეც ვრცელდებოდა. შტაბის უფროსის კომპეტენციაში შედიოდა უცხოელ კონსულებთან და საერთოდ, ევროპელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის შუამავლობა.

სირიაში ეგვიპტელ ხელისუფალთა ოთხეულის წევრი იყო მთავარი საფინანსო მოხელე ჰანნა ბაჰრი ბეი _ ადგილობრივი წარმოშობის სომეხი კათოლიკე ჰიმსიდან. ის ხელმძღვანელობდა დამასკოს მაღალ დივან მაშურას. დავთარდარს ემორჩილებოდნენ ფინანსური მოხელეები _ მუბაშირები. მან წესრიგში მოიყვანა სირიის საგადასახადო სისტემა. არსებითად ის იყო იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ შერიფ ფაშას ფინანსური მრჩეველი.

ყველა თანამდებობის პირი, იქნებოდა ეს ეგვიპტელი თუ სირიელი, იღებდა სამსახურისთვის ხელფასს. საოკუპაციო რეჟიმის დროს, ეგვიპტის მაგალითით, მოხდა ქვეყნის ხელახალი დაყოფა, შეიქმნა ექვსი მუდირია:

1. დამასკო _ მუჰამედ შერიფ ფაშა – სირიის ჰუქუმდარი.
2. ჰალები _ ისმაილ ბეი.
3. ტრიპოლი (ტარაბულუსი) _ მუსტაფა ბერბერი.
4. ადანა და ტარსუსი _ აჰმედ მენქლი ფაშა.
5. სიდონი, პალესტინა _ იერუსალიმითა და ნაბულუსით – ჰუსეინ აბდ ალ-ჰადი.
6. ლიბანი _ სანაპირო ზოლი ტრიპოლსა და ტარსუს შორის, აღმოსავლეთ ალ-ბიკაა და მთიანი რაიონი _ ამირა ბაშირ II შიჰაბი.

ექვსივე მუდირია გაერთიანდა ერთ პროვინციაში _ სირია (ბარ აშ-შამი, ბილად ალ-არაბ ან არაბისტანი) და მას მართავდა ქვეყნის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი, დამასკოს მუდირი _ მუჰამედ შერიფ ფაშა. თავის მხრივ, მუდირია იყოფოდა მარქაზად და ნაჰიად, ხოლო ნაჰია ერთი დიდი ან რამდენიმე მცირე სოფლისგან შედგებოდა. სირია_პალესტინის მმართველ ოთხეულს იერარქიულ კიბეზე მოსდევდა შემდეგი თანამდებობის პირები, რომელთა გავლენაც შეზღუდული იყო დიდი ქალაქით ან რაიონით :

1. მუდირი (კაიმაკამი) _ მუდირიის უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი, ითავსებდა სამოქალაქო ფუნქციებსაც. მუდირის მოვალეობა იყო სახალხო უსაფრთხოების დაცვა, მობილიზაციის ჩატარება, მოსახლეობის განიარაღება და ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუქციების შესრულება. მუდირის თანამდებობაზე სირიის ჰუქუმდარი უპირატესად ეგვიპტელებს ნიშნავდა.

2. მუთასალიმი (მუსეილიმი) _ იყო ქალაქის სამოქალაქო ხელისუფალი. ამ თანამდებობაზე ადგილობრივი წარმოშობის პირები ინიშნებოდნენ. მუთასალიმი ასრულებდა ყველა იმ ფუნქციას, რაც საფრანგეთში მუნიციპალური საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენდა.

3. მუბაშირი _ ფინანსური მოხელე. მის მოვალეობას წარმოადგენდა მეთვალყურეობის გაწევა გადასახადების აკრეფაზე, მუთასალიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ფინანსური ცნობების შეკრება და შენახვა. იგი ასრულებდა ხარჯების რევიზორის, ხაზინადარის ფუნქციას. მუბაშირი რეგულარულად უკავშირდებოდა სირიის დავთარდარს _ ჰანნა ბაჰრი ბეის და აწვდიდა ცნობებს რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ნაშრომში ყურადღება დაეთმო სირიის ქალაქებში გავლენიანი წრეების (ე.წ. აიანთა) მონაწილეობით მაჯლის აშ-შურას ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. მაჯლისს საკმაოდ ვრცელი _ სასამართლო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და მუნიციპალური ფუნქციები ჰქონდა. დივან მაშურას დაარსებით იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ ალის სურდათ შეექმნათ საქალაქო ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ქალაქისა და

მოქალაქეთა საქმიანობის ყველა სფეროს განიხილავდა. მაჯლისს ხელმძღვანელობდა მუთასალიმი, რომელიც ვალდებული იყო სათათბიროდ გაეტანა დივანში მმართველობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, ხოლო სამეურნეო სფეროში არ შეეძლო მაჯლისის თანხმობის გარეშე უმცირესი განკარგულების გაცემაც კი. მაჯლისის წევრებს დიდ ქალაქებში ენიშნებოდათ ხელფასი. მაჯლისის პარალელურად არსებობას განაგრძობდა შარიათის სასამართლო (მაჰქამა) და სხვადასხვა ეთნოკონფესიათა სასამართლოები. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ, შარიათის სასამართლო მთლიანად სახელმწიფო ადმინისტრაციას დაექვემდებარა. მართალია, მაჰქამას შინაგან სტრუქტურას
ცვლილებები არ შეხებია, მაგრამ მან დაკარგა დამოუკიდებლობა. ნებისმიერი თხოვნა შედიოდა ჰუქუმდარის კანცელარიაში და ის იღებდა გადაწყვეტილებას თუ ვის განკარგულებაში გადაეცა კონკრეტული საქმე განსახილველად. ამით დაიწყო სასამართლო სისტემის მოდერნიზაციის პროცესი სირიაში. ქვეთავში შეფასებულია ადმინისტრაციული რეფორმის დადებითი და უარყოფითი შედეგები.

მეორე ქვეთავში შესწავლილია ლიბანის საამიროს სტატუსი საოკუპაციო რეჟიმის დროს. ბაშირ II-მ მთელი რიგი დათმობებით მოახერხა ლიბანის პირდაპირი ოკუპაციის თავიდან აცილება. საოკუპაციო რეჟიმის პერიოდში ლიბანის საამირო გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა და გაფართოვდა კიდეც, შეიერთა ჯუბაილის ოლქი. მუჰამედ ალის მსგავსად, ამირა ბაშირმაც სცადა თავისი ვასალების ფეოდალური პრივილეგიების შეზღუდვა და მთელი ძალაუფლების თავის ხელში მოქცევა.

ბაშირ II-მ ლიბანის ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაცია მოახდინა. ქვეყანა დაიყო ათ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელთაც სათავეში ამირასთან დაახლოებული პირები ჩაუდგნენ. ბაშირ II ცდილობდა აიანთა ახალი ფენა შეექმნა იმ ქრისტიანთა რიგებიდან, ვინც მას ემსახურებოდა. ამ პირებს უზარმაზარ სამფლობელოებს ურიგებდნენ.

ლიბანის სამ ქალაქში: დეირ ალ-კამარში, ზუკსა და სგურტში დაარსდა სასამართლოები, რომლებიც სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდნენ. ამასთან დეირ ალ-კამარის მოსამართლე მხოლოდ დრუზი უნდა ყოფილიყო, დანარჩენ ორისა კი მარონიტი სასულიერო პირები. ლიბანი ერთადერთი რაიონი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც მაჯლისი არ ჩამოყალიბდა. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი მხარს უჭერდა ამირას გავლენის ზრდას, იმის ნაცვლად რომ აემხედრებინა მისთვის მეტოქეები და საკუთარი გავლენა გაევრცელებინა ლიბანის მთებში. შესაძლოა, ეს პოლიტიკური სიტუაციითაც იყო გამოწვეული. მუჰამედ ალის მმართველობას სირიაში უფრო მყარი საფუძველი რომ ჰქონოდა, სავარაუდოდ ის შეკვეცავდა ამირას უფლებებს და სირიის ერთიან ადმინისტრაციულ მოწყობას დაუმორჩილებდა მთიელ ტომებს.

ამის სანაცვლოდ ბაშირ II იბრაჰიმ ფაშას მოთხოვნებს უპირობოდ ემორჩილებოდა, ზოგჯერ ლიბანის ინტერესების საზიანოდაც კი. 1837 წლის დრუზების აჯანყების ჩასახშობად ბაშირ II იძულებული გახდა შეესრულებინა იბრაჰიმ ფაშას მოთხოვნას უგულვებელყო ლიბანის ტრადიციები და 4 ათასი მარონიტი ქრისტიანი შეაიარაღა. ეგვიპტელების სირიაში მოსვლის შემდეგ, ეს იყო პირველი შემთხვევა დრუზებისა და მარონიტების აშკარა დაპირისპირებისა.

თავი მესამე

განათლების საკითხი და რელიგიურ უმცირესობათა სტატუსი სირიაში ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს.

მესამე თავში განხილულია იბრაჰიმ ფაშას მიერ სირია-პალესტინაში საერო განათლების სკოლების ქსელის შექმნა ეგვიპტის გამოცდილების მაგალითზე.

სირიის სამ ქალაქში _ დამასკოში, ჰალებსა და ანტიოქიაში გაიხსნა დახურული სასწავლებლები, რომლებიც მომავალ ოფიცრებს ამზადებდნენ. სკოლების დირექტორი იყო ცნობილი ფრანგი ექიმი _ კლოტ ბეი, რომელმაც მიიღო ინსტრუქცია იბრაჰიმ ფაშასგან მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების გრძნობა ჩაენერგა. მთელ სირიაში გაიხსნა სამხედრო სკოლები, რომლებშიც რეკრუტებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ონბაშის (კაპრალის) ზემოთ სამხედრო ჩინის მისაღებად საჭირო იყო ელემენტარული განათლება. პარალელურად არსებობდნენ ტრადიციული ისლამური სასულიერო სკოლები (მექთებე, მედრესე), რომელთაც ადრე რელიგიური და საქველმოქმედო ფონდი (ვაკფი) ინახავდა. ახლა ამ სკოლების მასწავლებლებს დაენიშნათ ხელფასი. ფუნქციონირებას FUN განაგრძობდნენ რელიგიურ უმცირესობათა სკოლებიც.

ნაშრომში გარკვეული ყურადღება დაეთმო მისიონერთა საქმიანობის გააქტიურებას ამ პერიოდში. მათ სირიის ტერიტორიაზე გახსნეს თავიანთი სკოლები. 1834წ. ლაზარისტების ორდენმა აინ-თურაში (ანთურა) დააფუძნა ფრანგული კათოლიკური სკოლა-კოლეგიუმი ინტერნატით, რომელსაც საშუალო საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა და არაბი კეთილშობილი ოჯახის შვილების აღსაზრდელად იყო განკუთვნილი. სწავლება მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე. მეორე ასეთი სკოლა გაიხსნა ჰალებში. საფრანგეთის მთავრობამ ამ სასწავლებლებში 40 სტიპენდიის დასაწესებლად გამოყო თანხა. მოგვიანებით, ლიბანში ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ღაზირაში არსებული დაწყებითი სკოლის ბაზაზე იეზუიტებმა გახსნეს კათოლიკური სასულიერო სემინარია (1846-47წწ.). XIXს. 30-იან წლებში სირია-პალესტინაში თავიანთი საქმიანობა გააქტიურეს ამერიკელმა მისიონერებმაც. 1834-35 წლებში მათ მისიონერ ტომსონის ხელმძღვანელობით ბეირუთში გახსნეს სკოლა და ეკლესია. 1860 წლამდე ამერიკული სკოლის მოსწავლე განათლებას იღებდა კლასიკურ არაბულ ენაზე, სწავლობდა ინგლისურ ენას, მათემატიკას, გეოგრაფიას, ქიმიას და ასტრონომიას. 1834წ. მისიონერ ელი სმიტის მეუღლემ ბეირუთში გახსნა სკოლა გოგონებისთვის. თავდაპირველად სკოლა, სადაც მხოლოდ 40 გოგონა სწავლობდა, განთავსებული იყო ამერიკული მისიის შენობის ერთ ოთახში. ეს სასწავლებელი შეიძლება ჩაითვალოს ერთ - ერთ პირველ ამგვარ დაწესებულებად ოსმალეთის იმპერიაში. 1835წ. ზაფხულში ლიბანის მთიანეთში გაიხსნა მეორე სკოლა დრუზი გოგონებისთვის. 1835წ. ბოლოს უკვე 5 ასეთი სკოლა არსებობდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 300-ს აღწევდა. ამერიკელმა მისიონერებმა ბეირუთში კუნძულ მალტიდან გადმოიტანეს სტამბა.

სირიაში თავისი ინტერესები ჰქონდათ როგორც ევროპის სახელმწიფოებს, ისე აშშ-ს. ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციაზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ევროპელ და ამერიკელ ვაჭრებს სირიიდან გაჰქონდათ აღმოსავლური საქონელი _ ნატურალური აბრეშუმი, შალეული,

ზეითუნის ზეთი. ამგვარმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ქალაქების: ბეირუთის, ზაჰლასა და ჰაზბაიას ზრდა-განვითარებას. ამავე პერიოდში დაიწყო ამ ქვეყნის შესწავლა ევროპელი მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ. 1838წ. ამერიკელმა არქეოლოგმა რობინსონმა მოაწყო სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიცია პალესტინაში.

იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებულ გარდაქმნებს განათლებული კადრები სჭირდებოდა. 1816 წლიდან მუჰამედ ალი რეგულარულად გზავნიდა არაბ ახალგაზრდებს ევროპის ქვეყნებში, კერძოდ კი იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში სამხედრო საქმის, ტექნიკის, აგრონომიის, მედიცინის და მეცნიერების სხვა დარგების შესასწავლად. 1837 წელს კლოტ-ბეიმ ათი ლიბანელი, მათ შორის ოთხი ქრისტიანი კაიროში გაგზავნა მედიცინის შესასწავლად. სირიის დიდ ქალაქებში: აქქაში, საიდაში, დამასკოსა და ჰალებში გაიხსნა საავადმყოფოები. სირიაში, ეგვიპტის მსგავსად, ფუნქციონირებდა საკარანტინო სამსახური, რომელსაც გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, (ეპიდემიების გავრცელების საფრთხის დროს საზღვრების ჩაკეტვა ევალებოდა), პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებდნენ. სირია-ეგვიპტეს შორის რეგულარული და სწრაფი ურთიერთობის არსებობას ემსახურებოდა საფოსტო სადგურების მოწყობა სირიის ტერიტორიასა და სუეცის უდაბნოში. აქვეა გაანალიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცვლილებების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

მესამე თავში ყურადღება დაეთმო სირიის რელიგიურ უმცირესობებთან ეგვიპტის ხელისუფალთა ურთიერთობის საკითხსაც. იბრაჰიმ ფაშამ, მუჰამედ ალის მითითებით, სცადა მუსლიმთა რელიგიური ფანატიზმის შესუსტება. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის პოზიცია სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფების მიმართ შემდეგი იყო: «მუსლიმი უნდა იცნობოდეს მეჩეთში, ქრისტიანი ეკლესიაში, მეჩეთისა და ეკლესიის გარეთ კი ყველა თანასწორუფლებიანი ქვეშევრდომი იყო». იბრაჰიმ ფაშას ბრძანებით: ა) სირიის ქრისტიანთა და იუდეველთა «წმიდა ადგილები» გათავისუფლდნენ გადასახადისაგან, ბ) გაუქმდა დისკრიმინაციული შეზღუდვები და არამუსლიმი მოსახლეობა აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები. ჯერ კიდევ სირიის ოკუპაციამდე, მუჰამედ ალი სამსახურს სთავაზობდა როგორც ადგილობრივ, ისე სირიელ და ბერძენ ქრისტიანებს. მან მარონიტი ნიკულა მასაბკი დამასკოს ცნობილი ოჯახიდან, სასწავლებლად იტალიაში გაგზავნა. ევროპიდან დაბრუნებული ნიკულა მასაბკი გახდა ბულაკის სტამბის ფუძემდებელი. სირიის მმართველობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ბერძენი კათოლიკე ჰიმსიდან ჰანნა ბაჰრი ბეი, რომელიც ატარებდა ბეგის ტიტულს და ჰქონდა მირ-ლივას ჩინი. იგი სარგებლობდა მუჰამედ ალისა და იბრაჰიმ ფაშას ნდობით. ყოველწლიურად ჰანნა ბაჰრი 300 ათას პიასტრს იღებდა და ითვლებოდა იბრაჰიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შემდეგ, სირიის ადმინისტრაციის ყველაზე მაღალ შემოსავლიან ჩინოვნიკად. მისი ხელფასი სამჯერ აღემატებოდა დამასკოს მუთასალიმის შემოსავალს. მის ძმას _ ჯერმანუსს ეკავა ჰალების მუდირიის ფინანსური უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა. ის 90 ათას პიასტრს იღებდა ყოველწლიურად. თანამედროვეთა გადმოცემით, ჰანნა ბაჰრი ბეი ცხოვრობდა ისეთ ფუფუნებაში, როგორის შესაძლებლობაც ჰქონდა « მხოლოდ ძალიან მდიდარ მუსლიმს». მის ფინანსურ უწყებაში მუშაობდნენ კოპტები და ადგილობრივი ქრისტიანები.

რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები მაჯლისების მუშაობაშიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, დამასკოს მაღალ დივან მაშურას 21 წევრიდან ერთი _

მიხაილ ქაჰილი იყო ქრისტიანი, ერთიც ებრაელი. მაჯლისს ჰანნა ბაჰრი ხელმძღვანელობდა. კონსულ ვერის ინფორმაციით, ალეპოს მაჯლისის შემადგენლობაში ცხრა ადგილობრივი, სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების ვაჭარი შედიოდა. ჰიმსის მაჯლისს ქრისტიანი ხელმძღვანელობდა. ბეირუთში
დივანის 13 წევრიდან 6 _ ჯიბრაილ ჰუმსი, ბიშარ ნასრალი, ილიას მუნსი, ნასიფ მატრი, იუსუფ აირუთი და მუსა ბუტროსი ქრისტიანები იყვნენ. ჰაურანში მთელი ჩინოვნიკური აპარატი შედგებოდა ყოფილი ზიმიებისაგან. ჰალებისა და აინთაბის ხაზინადარები _ ხავაჯა შუქრი და მუალიმ ჰანაც ქრისტიანები იყვნენ. მირის აკრეფაზე პასუხისმგებელი იყო ბერძენი მართლმადიდებელი ნიკულა დაჰირი.

თავდაპირველად, სირიის არამუსლიმი მოსახლეობა ფაშას «მეორე მხსნელს» უწოდებდა და აქტიურად თანამშრომლობდა მასთან. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მუჰამედ ალის რეჟიმის ზრუნვა ქრისტიანებსა და ებრაელებზე, ქმნიდა კონტრასტს სულტნის რელიგიურ პოლიტიკასთან. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გატარებული სახალხო უსაფრთხოებისა და რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკის შედეგად სირიის ქალაქებში დამასკოსა და იერუსალიმში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა საკონსულოები. 1841წ. ბოლოს იერუსალიმში ანგლიკანური ეპარქია დაარსდა.

მუჰამედ ალის ზრუნვა ქრისტიანებსა და ებრაელებზე მიზნად ისახავდა ევროპის სახელმწიფოების კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვებას მისი ექსპანსიონისტური ამბიციებისადმი. ამასთან, ეს იყო მუსლიმი სახელმწიფო ლიდერის მიერ იმის აღიარება, რომ შარიათი დისკრიმინაციას უწევდა სხვა რელიგიის წარმომადგენლებს.

მესამე თავის დასასრულს, შეჯამებულია სირიაში იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებული რელიგიური პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი შედეგები.

თავი მეოთხე
იბრაჰიმ ფაშას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სირიაში.

მეოთხე თავი მიეძღვნა სირიის ეკონომიკური და სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებისთვის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გატარებულ მთელი რიგ ღონისძიებებს.

ეგვიპტელთა მიერ დამყარებული რეჟიმის დროს შეიქმნა ახალი საგადასახადო სისტემა, გაუქმდა მთელი რიგი გადასახადებისა, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობას. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს გაიზარდა სტრანზიტო ვაჭრობა. სირიის ტერიტორიის გავლით ინგლისური წარმოების ქსოვილები გაჰქონდათ ირანსა და ინდოეთში, ხოლო სირიიდან ყოველწლიურად შალისა და აბრეშუმის ექსპორტი ხდებოდა მარსელში, ლივორნოსა და ტრიესტში. როგორც ბაზილი აღნიშნავდა, ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად, სირიის ვაჭრობა გაათკეცდა, ხოლო საბაჟო შემოსავლები გაოთხმაგდა. სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად გატარებულ რეფორმებს შედეგად მოჰყვა სახნავ-სათესი მიწების ფართობის, აღდგენილი და ახალი სოფლების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ოსმალთა ხელისუფლების რესტავრაციის შემდეგ

დამუშავებული მიწებისა და სოფლების დიდი ნაწილი კვლავ გაუკაცრიელდა. საინტერესო ღონისძიება იყო მუჰამედ ალის მითითებით ბანკების დაარსება სირიის ქალაქებში, რომლებიც გასცემდნენ სესხს მარცვლეულისა და შრომის იარაღების შესაძენად. ფართოდ გავრცელდა მუსლიმ და არამუსლიმ ქვეშევრდომთათვის მიწების იჯარით გაცემის პრაქტიკა. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი მნიშვნელოვან თანხას ხარჯავდა სირიის წიაღისეულის ასათვისებლად. ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციების დამთავრებამდე, მუჰამედ ალის ბრძანებით, იბრაჰიმ ფაშამ დაიწყო სირიაში ნედლეულის მოძიება. ჩინოვნიკთა ნაწილი თვალს ადევნებდა ოკუპირებულ რაიონში ხე-ტყის დამზადებასა და გატანას სირიის პორტებით ეგვიპტეში. სირიის ოკუპაციამდე ხე-ტყე შემოჰქონდათ ავსტრიიდან. სხვა ჩინოვნიკები ოკუპირებულ რეგიონში მადნეულის მოძიებასა და დამუშავებას მეთვალყურეობდნენ. სირიაში მოიპოვებოდა ქვანახშირი, რკინა. ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლება თანხებს არ ზოგავდა საბადოების მოძიებისა და დამუშავებისთვის. მათ უცხოელი (ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი) სპეციალისტები ჩამოიყვანეს სირიაში და ძალიან მაღალ ხელფასს უხდიდნენ. ეგვიპტის საინჟინრო სასწავლებლები თავიანთი კურსდამთავრებულების სიებს გადასცემდნენ მაჯლისის ხელმძღვანელს, რომელიც მათ სირიაში გზავნიდა მადნის საძიებო სამუშაოზე. კურსდამთავრებულები გამგზავრების წინ იღებდნენ ტანსაცმლის სრულ კომპლექტს და საინჟინრო ხელსაწყოებს. მათ ენიშნებოდათ ხელფასი.

ქვეყნის ფინანსური სისტემის მოწესრიგებისთვის სირიაში დაინიშნა დავთარდარი ჰანნა ბაჰრი ბეი, რომელსაც ფინანსური მოხელეები _ მუბაშირები ემორჩილებოდნენ. მის ხელში ხდებოდა სირიაში სამოქალაქო და სამხედრო საქმეების კონცენტრაცია. არსებითად, ჰანნა ბაჰრი ბეი იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ შერიფ ფაშას ფინანსური მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა. საოკუპაციო რეჟიმმა გაზარდა გადასახადები, შემოიღო ახალი გადასახადი _ ფირდე, რომელსაც თანაბრად იხდიდა ყველა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, სამღვდელოებისა და მოხელე - ჩინოვნიკების გარდა. ფირდეს აკრეფისათვის განხორციელდა 16 - 60 წლის ასაკის მამაკაცების სულადობრივი აღწერა. ესა თუ ის ქალაქი ან სოფელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იხდიდა მთლიან თანხას. დივან მაშურაში ხდებოდა მცხოვრებთა დაყოფა ქონებრივი ნიშნით. მოხუცები და ღატაკები თავისუფლდებოდნენ გადასახადის გადახდისაგან, დანარჩენი კი დიფერენცირებულად იხდიდა ფირდეს, მდიდრები 500 პიასტრს, შედარებით ღარიბები კი 15 პიასტრს. ფირდეს შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები.

ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლებამ დააწესა სამხედრო ბეგარა, შემოიღო მონოპოლიების სისტემა ფართო მოხმარების საქონელზე და რაც მთავარია, მოითხოვა მოსახლეობის სრული განიარაღება და სარეკრუტო გაწვევა. ამ უკანასკნელ მოთხოვნებს შედეგად სირიელების უკიდურესი გაღიზიანება მოჰყვა, რაც პერმანენტულ აჯანყებებში გადაიზარდა. 1834 წლის აპრილში პალესტინაში, იერუსალიმთან ახლოს დაიწყო პირველი აჯანყება, რომელსაც მოყვა ნაბულუსის აჯანყება აიან კასიმ ჯერარის მეთაურობით. ოქტომბერში ასეთივე მოძრაობა დაიწყო ნასირიაში. 1837 წლის აპრილში დიდმა აჯანყებამ იფეთქა ჰაურანსა და ლიბანში. დრუზები ალ-ლეჯის რაიონში გამაგრდნენ. აჯანყებას, რომელიც ცხრა თვე გაგრძელდა, შიბლი არიანი ხელმძღვანელობდა. იბრაჰიმ ფაშას ბრძანებით, ლიბანის ამირამ ოთხი ათასი ქრისტიანი მთიელი გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად. ეს ლიბანის პოლიტიკური ტრადიციების

უხეში დარღვევა იყო. ბაშირ II ჯარი შეუერთდა იბრაჰიმ ფაშას არმიას. შიბლი არიანმა ათასამდე დრუზთან ერთად გაარღვია ალყა და გააგრძელა პარტიზანული ომი. საბოლოოდ შიბლი არიანი შეურიგდა საოკუპაციო ხელისუფლებას. საოკუპაციო რეჟიმის დროს იბრაჰიმ ფაშამ გაიწვია დაახლოებით 35 ათასი რეკრუტი, სირიის მამრობითი სქესის მოსახლეობის 10%. სარეკრუტო გაწვევისგან თავის დასაწევად დაახლოებით 100 ათასი კაცი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადავიდა ან ბედუინებთან გაიქცა.

თავი მეხუთე

ოსმალეთ-ეგვიპტის II კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია.

მეხუთე თავი შედგება ორი ქვეთავისგან: ა) ოსმალეთ-ეგვიპტის ურთიერთობანი მეორე კონფლიქტის წინ და ბ) ოსმალეთ-ეგვიპტის II კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოები.

მეხუთე თავის პირველ ქვეთავში შესწავლილია ის ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გამოიწვია მუჰამედ ალისა და ოსმალეთის სულტანს შორის წინააღმდეგობების გამწვავებამ. ქუთაჰიას საზავო შეთანხმებამ არც ერთი მეომარი მხარის ინტერესები არ დააკმაყოფილა. სულტანმა დაკარგა იმპერიის ტერიტორიის 35-40%, ხოლო ფაშა მოითხოვდა ბრძოლით მოპოვებული პროვინციების მემკვიდრეობითი უფლებით გადაცემას. უკვე 1834 წლიდან ორივე მხარე კონფლიქტის განახლებას აპირებდა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას წინ ევროპის სახელმწიფოები აღუდგნენ.

სულტანიცა და ფაშაც აქტიურად ემზადებოდნენ ომისთვის, მაგრამ გარეგნულად მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ. 1837 წ. სტამბოლის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება მუჰამედ ალისთან. მაჰმუდ II მზად იყო მემკვიდრეობითი უფლებით გადაეცა მუჰამედ ალისთვის ეგვიპტე და არაბეთის ნახევარკუნძული, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში უმატებდა აქქისა და ტარაბლუსის საფაშოებსაც. მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა, რადგან მუჰამედ ალი მოითხოვდა მთელი დაპყრობილი პროვინციების მემკვიდრეობითი უფლებით გადაცემას. ამავე ქვეთავში აღნიშნულია ოსმალეთ-ეგვიპტის საკითხით ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესების მიზეზები.

ბრიტანეთის პროოსმალურ პოლიტიკას შემდეგი მიზეზები განაპირობებდა:

ა) ეგვიპტე-ოსმალეთის I შეიარაღებული კონფლიქტის დროს ფაშას სამხედრო წარმატებებმა გამოიწვიეს რუსეთის ჩარევა ოსმალეთის საშინაო საქმეებში. რუსეთმა ჯარები გადმოსხა სტამბოლში და დადო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება, რომლის საიდუმლო მუხლითაც, რუსეთის სამხედრო გემებს (სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით) შეეძლოთ მარმარილოს ზღვაში შესვლა. ამასთან, ორივე მხარემ ვალდებულება აიღო საგარეო პოლიტიკაში არ გადაედგათ არანაირი ნაბიჯი

კონსულტაციების გარეშე. ლორდ პალმერსტონს მიაჩნდა, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის ელჩი ხდებოდა სულტნის მთავარი მრჩეველი.
ბ) ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებს არ პასუხობდა ეგვიპტის ფაშას პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე. სირიის შეერთებით ეგვიპტე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ იქცა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ის აკონტროლებდა ინდოეთისაკენ მიმავალ გზებს, როგორც წითელი ზღვისა და სუეცის ყელის მიდამოებში, ისე მდინარე ევფრატსა და ერაყის რაიონში.
გ) 1838წ. დაიდო ინგლის _ ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერეს ოსმალეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა მუსტაფა რეშიდ ფაშამ და ინგლისის მხრიდან ბრიტანეთის ელჩმა ოსმალეთის იმპერიაში პონსონბიმ. ხელშეკრულების «თავისუფალი ვაჭრობის შესახებ» მიხედვით ინგლისის ქვეშევრდომებს მიეცათ შეუზღუდავი ვაჭრობის უფლება იმპერიაში. ევროპული საქონლის იმპორტზე გადასახადი 5%-ით განისაზღვრა, ხოლო ექსპორტზე _ 12%-ით. გაუქმდა მონოპოლიები ზოგიერთი პროდუქტის შესყიდვაზე. ინგლისის სავაჭრო გემებს შეეძლოთ თავისუფალი ნაოსნობა შავ ზღვაზე და სრუტეებში. 1839 წლის 1 მარტს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. ოსმალეთი გადაიქცა ღია ბაზრად ევროპული ეკონომიკისთვის. მუჰამედ ალის მიერ ოკუპირებულ პროვინციებში ხელშეკრულება არ ამოქმედდა. ყოველივე ამან განაპირობა ბრიტანეთის აგრესიული პოლიტიკა მუჰამედ ალის მიმართ.
რაც შეეხება ევროპის სხვა წამყვან სახელმწიფოებს, პრუსიამ, ჯერ კიდევ, 1833წ. განაცხადა რომ არ ჩაერეოდა აღმოსავლეთის საკითხში. ავსტრიას არ სურდა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრა, რადგან ეს გამოიწვევდა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების ამოქმედებას და რუსეთის ჯარების შესვლას იმპერიის ტერიტორიაზე. გარეგნულად მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ავსტრია რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოების წინააღმდეგი იყო.
რუსეთი, მიუხედავად უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებისა, არ იყო მომხრე საკითხის სამხედრო გზით მოგვარებისა. ის აფართოებდა ეგვიპტესთან ვაჭრობას, სურდა ფაშასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ დაიწყებდა ომს სულტნის წინააღმდეგ. ამავე დროს, მეფის რუსეთი ცდილობდა ინგლისთან ხელშეკრულება დაედო ახლო აღმოსავლეთის საკითხზე და ამისთვის ინგლის_საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობები გამოეყენებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1836 წლის მარტის რუსეთ_ოსმალეთის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რუსეთმა უარი თქვა ადრიანოპოლის ზავით მიღებული კონტრიბუციის ნაწილზე და ვალდებულება აიღო დარჩენილი თანხის მიღებიდან ერთ წლის მანძილზე გაეყვანა ჯარები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან.
საფრანგეთი მხარს უჭერდა მუჰამედ ალის მისი საშინაო პრობლემების გადაწყვეტაში, ეხმარებოდა რეფორმების განხორციელებაში და იზიარებდა მის პრეტენზიას _ შეენარჩუნებინა ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულებით მიღებული პროვინციები. საფრანგეთის ინტერესების სფეროში შედიოდა ახლო აღმოსავლეთში ეგვიპტის გაძლიერება, რაც ფაქტიურად მისი გავლენის გაზრდას ნიშნავდა ხსენებულ რეგიონში. ამ პერიოდში, საფრანგეთის გავლენის სფეროში
აღმოჩნდა ალჟირი, იგი იბრძოდა თუნისში გაბატონებისათვის. თუ სირია_ეგვიპტე მუჰამედ ალის გადაეცემოდა, მაშინ ხმელთაშუა ზღვის აუზში მისი გავლენა ფაქტობრივად შეუზღუდავი იქნებოდა. არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ ხმელთაშუა ზღვა საფრანგეთის ტბად გადაქცეულიყო. ამისდა მიუხედავად,

საფრანგეთი არ ემხრობოდა პრობლემის შეიარაღებული გზით გადაწყვეტას, რადგან ეს გამოიწვევდა უნკიარ – ისკელესის ხელშეკრულების ამოქმედებას და რუსეთის ჩარევას ოსმალეთის საშინაო საქმეებში. ასეთი იყო ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის მიმართ.

მეორე ქვეთავში აისახა ოსმალეთ-ეგვიპტია მეორე შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება და ნეზიბის ბრძოლა. 1839 წლის 21 აპრილს მაჰმუდ II-ის ბრძანებით ოსმალეთის არმიამ გადალახა ანატოლიის საზღვარი და დაიკავა ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებული პუნქტები. ნეზიბის ბრძოლაში ოსმალეთის არმიამ სასტიკი მარცხი განიცადა. 1839 წლის 1 ივლისს გარდაიცვალა სულტანი მაჰმუდ II, მან ვერ შეიტყო თავისი არმიის მარცხი. სულტნის სიკვდილმა მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. დიდ ვეზირად დაინიშნა ხუსრევ ფაშა, თუმცა სტამბოლში მომხრეები ჰყავდა მუჰამედ ალის კანდიდატურასაც. 1839 წლის 14 ივლისს ოსმალეთის ფლოტი აჰმედ ფევზი ფაშას ხელმძღვანელობით ჩაბარდა ეგვიპტის ფლოტს. ოსმალეთის იმპერიამ სამ კვირაში დაკარგა არმია, ფლოტი და სულტანი. ტახტზე ავიდა 16 წლის აბდულ-მეჯიდი, რომელმაც იმპერიის გადასარჩენად განაახლა მოლაპარაკებები მუჰამედ ალისთან.

სულტანსა და მის ვასალს შორის კონფლიქტში ამჯერად აქტიურად ჩაებნენ ევროპის სახელმწიფოები. ავსტრიამ შესთავაზა ვენაში კონფერენციის გამართვა ევროპის ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც განიხილავდა ოსმალეთის იმპერიაში რუსეთის პროტექტორატის შეცვლას კოლექტიური ევროპული გარანტიით. აქვე გადაწყდებოდა სრუტეების საკითხიც. 27 ივლისს ავსტრიის კანცლერმა მეტერნიხმა გადასცა პორტას ევროპის სახელმწიფოების კოლექტიური ნოტა, რომელშიც მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ საკითხის გადაწყვეტისგან მათი თანხმობის გარეშე. ნოტა ნიშნავდა ევროპის სახელმწიფოთა აშკარა ჩარევას იმპერიის საშინაო საქმეებში, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთის მმართველ წრეებსა და დედაქალაქის მოსახლეობაშიც. მუჰამედ ალი ცდილობდა პირდაპირი მოლაპარაკებები დაეწყო სულტანთან. დიდი ბრიტანეთის ინიციატივით და მონაწილეობით, 1840 წელს რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს ლონდონის I კონვენციას, რომლის პირობებითაც:

1) მუჰამედ ალიმ მემკვიდრეობითი უფლებით მიიღო ეგვიპტე, დანარჩენი ტერიტორიები კი სულტანს დაუბრუნდა.

2) ფაშა ვალდებული იყო დაეცვა ოსმალეთის იმპერიის კანონები მის მფლობელობაში მყოფ პროვინციებში და განეხორციელებინა სულტნის მიერ ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება.

3) მას უნდა დაებრუნებინა ოსმალეთის ფლოტი.

4) ეგვიპტის სახმელეთოO და საზღვაო ძალები ითვლებოდა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებად.

5) თუ ფაშა ათ დღეში არ შეასრულებდა ამ მოთხოვნებს, ის დაკარგავდა აქქის საფაშოს.

6) ოცი დღის გასვლის შემდეგ კი მუჰამედ ალის ეგვიპტესაც ჩამოართმევდნენ.

სირიის სტრატეგიულმა მდებარეობამ გამოიწვია მისი კუთვნილების საკითხით ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება და პრობლემის ოსმალეთის იმპერიის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია ევროპის ხუთი

დიდი სახელმწიფოს ინტერესებზე ამ რეგიონში და იმ შედეგებზე, რაც მოჰყვა მათთვის ლონდონის I კონვენციას.

ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება იყო დიდი მოულოდნელობა საფრანგეთისთვის. ლუი-ფილიპემ ამ აქტს დიპლომატიური ვატერლოო უწოდა. მან სცადა კონვენციის დარღვევა, ავსტრია _ პრუსიის დაშინება საფრანგეთთან ომითა და რეინის ოლქის ოკუპაციით. ინგლისს შესთავაზა 1834 წლის ინგლის _ საფრანგეთის ხელშეკრულების განახლება და «აღმოსავლეთის საკითხში» თანამშრომლობა. ბრიტანეთის კაბინეტის წევრთა უმრავლესობამ, რომლებიც რუსეთთან დაახლოებას ეწინააღმდეგებოდნენ, მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, მაგრამ პალმერსტონმა აუცილებლად ჩათვალა კონვენციის შენარჩუნება. მეფის რუსეთი, რომელიც ხელშეკრულებას ძირითადად ბარონ ბრუნნოვის (რუსეთის წარმომადგენელი ლონდონის კონფერენციაზე) ინფორმაციით იცნობდა, ეთანხმებოდა კონფერენციის გადაწყვეტილებას ძირითადად მისი ანტიფრანგული მიმართულების გამო. ნიკოლოზ I გვიან მიხვდა, რომ საფრანგეთის დროებითი იზოლაცია რუსეთს ძალიან ძვირი დაუჯდა. მან დათმო ოსმალეთის იმპერიაში ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები. ლონდონის I ხელშეკრულება იყო ინგლისის გამარჯვება, ვინაიდან მან მიაღწია რუსეთთან შეთანხმებას სრუტეებთან დაკავშირებით. პალმერსტონმა განახორციელა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი, რაც უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების «გაფართოებას» გულისხმობდა მასში ევროპის სხვა სახელმწიფოების ჩართვით. ამ კონვენციამ განამტკიცა ინგლისის გავლენა ოსმალეთის იმპერიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში და შეარყია საფრანგეთის პოზიცია ხსენებულ რეგიონში.

ნაშრომის ბოლო თავი სრულდება ლონდონის 1841 წლის II კონვენციით, რომელმაც სირიის კონფლიქტის გარდა, განსაზღვრა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მოქმედების რეჟიმი.

1841 წლის 13 ივლისს ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ, რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ლონდონის მეორე კონვენციას სრუტეების შესახებ. კონვენციით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დაიხურა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. ოსმალეთის იმპერიას შეეძლო სრუტეებში იმ ქვეყნის გემები გაეტარებინა, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიდა.

ლონდონის II კონვენციამ განამტკიცა ბრიტანეთის პოლიტიკური კურსის გამარჯვება რუსეთთან მიმართებაში. ამ უკანასკნელმა დაკარგა ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები ოსმალეთის იმპერიაში. რუსეთის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად დასუსტდა 30-იან წლებთან შედარებით. მეფის რუსეთის ცდა დაახლოებოდა ინგლისს და მასთან შეთანხმებით გადაეწყვიტა ოსმალეთის გაყოფის საკითხი, წარუმატებლად დასრულდა. ბრიტანეთს საკმაოდ მყარი პოზიცია ჰქონდა ოსმალეთის იმპერიაში და სხვა ქვეყნებთან შეთანხმება არ სჭირდებოდა. ამიტომ ნიკოლოზ I-ის წინადადება « ავადმყოფი ადამიანის» მემკვიდრეობის გაყოფაზე ინგლისმა არ გაიზიარა.

დ ა ს კ ვ ნ ა

XIXს-ის 30-იან წლებში ე.წ. « აღმოსავლეთის საკითხის» გააქტიურება გამოიწვია ეგვიპტე-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირებამ სირიის პრობლემის გამო. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის სფეროების გაფართოებისკენ სწრაფვამ და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხმა ევროპის სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირება გამოიწვია. ამიტომ, გაერთიანებული არაბული სახელმწიფოს შექმნის იდეას ევროპის დიდი სახელმწიფოების ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა. სწორედ ხსენებული რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე მოექცა ეგვიპტე-ოსმალეთის ერთი შეხედვით შინა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი საერთაშორისო პოლიტიკის ფოკუსში.

კაირო-სტამბოლის პირველი კონფლიქტის საწყის ეტაპზე ევროპის სახელმწიფოებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მუჰამედ ალის სამხედრო შესაძლებლობები და დროულად არ შეზღუდეს მისი ამბიციები. მხოლოდ მეფის რუსეთი, რომელიც შეაშფოთა იმპერიის სამხრეთ საზღვრებთან ახალი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობამ, ჩაერია კონფლიქტში და სულტნის თხოვნით, სამხედრო ფლოტი შეიყვანა ბოსფორის სრუტეში. რუსეთის ჩარევას მოჰყვა ევროპის სახელმწიფოების გააქტიურება და მათი ერთობლივი ძალისხმევით დაიდო ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება. სულტნის ფირმანით, ფაშამ მიიღო იმპერიის ტერიტორიის 35-40% და მოსახლეობის 18%. მოგვიანებით, 8 ივლისს დაიდო უნკიარ-ისკელესის სამხედრო, სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთ-ოსმალეთს შორის.

ოკუპირებული რაიონის მმართველად დაინიშნა ექსპედიციის მხედართმთავარი _ იბრაჰიმ ფაშა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გატარდა სირიაში მთელი რიგი რეფორმები, მიმართული ქვეყნის აღორძინებისკენ. იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებულ ღონისძიებებს, თავდაპირველად, პოზიტიური შედეგები მოჰყვა.

მოგვიანებით, როცა ახალი კონფლიქტის საფრთხე რეალური გახდა, ეგვიპტის ხელისუფლებამ გაზარდა გადასახადები, დააწესა მონოპოლიები სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან პროდუქტებზე, მოითხოვა განიარაღება და სამხედრო გაწვევის ჩატარება, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება, რაც შემდეგ, პერმანენტულ აჯანყებებში გადაიზარდა.

1839 წელს სულტნის ინიციატივით კონფლიქტი განახლდა, მაგრამ ოსმალეთისთვის კვლავ წარუმატებლად წარიმართა. ამჯერად, ევროპის სახელმწიფოები თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ კონფლიქტის დარეგულირებაში.

1840 წ. ლონდონში მიმდინარე მოლაპარაკებები ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის დასრულდა ლონდონის I კონვენციით, რომელსაც ხელი მოაწერეს ერთი მხრივ, ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ და მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენლებმა. ამ კონვენციით მუჰამედ ალიმ მიიღო მემკვიდრეობითი უფლებები ეგვიპტეზე, ხოლო დანარჩენი პროვინციები სულტანს დაუბრუნდა. ამგვარად, ევროპის სახელმწიფოთა ჩარევის შედეგად, კრახით დასრულდა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის კიდევ ერთი მცდელობა.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებში მიაჩნდათ, რომ მათ ინტერესებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და ინდოეთისკენ მიმავალ გზებზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა სირია-ეგვიპტის ძლიერი არაბული სახელმწიფო, რომლის პოლიტიკაზეც დიდი გავლენა ექნებოდა საფრანგეთს. ლონდონის კონფერენციის შედეგებით

ისარგებლა ბრიტანეთმა, რომლის გავლენაც ოსმალეთის იმპერიაში კიდევ უფრო გაიზარდა. ამას, თავის მხრივ, მოყვა საფრანგეთის პოზიციების შესუსტება ახლო აღმოსავლეთში. რაც შეეხება რუსეთს, მისმა დიპლომატიურმა კურსმა კრახი განიცადა, რადგან 1841 წლის მეორე კონვენციამ დაამტკიცა 1840 წლის ლონდონის I კონვენციის მიერ სირიის საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები და ამასთან დააწესა საერთაშორისო კონტროლი სრუტეებზე. რუსეთმა დათმო ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესიის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები.

ამგვარად, სირია-ეგვიპტის გაერთიანების საკითხი დიდმა პოლიტიკამ გადაწყვიტა.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები
გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:

1. ლიბანის ამირა ბაშირ II-ის პოლიტიკა ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის პირველ პერიოდში. - ტიპოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2000, გვ. 433-439, (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
2. ადმინისტრაციული რეფორმა სირიაში ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს (1831-1840 წწ.), თსუ შრომები, 341, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი, 2002, გვ. 411-419, (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.)
3. იბრაჰიმ ფაშას საგადასახადო პოლიტიკა სირიაში (1831-1840 წწ.). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბილისი 2002, გვ. 104-110 ,(რეზიუმე რუსულ ენაზე).
4.ოსმალეთ-ეგვიპტის პირველი (1831-1833წწ.) კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. - აღმოსავლეთი და კავკასია, №1, თბილისი, 2003, გვ. 100-102. ,(რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
5. 1840 წლის ლონდონის კონვენცია და მისი როლი ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტის დარეგულირებაში. თსუ შრომები, 361, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი, 2004, გვ. 410-416, (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.)